



ჯეიმს კრუსი  
ტიმ თალერი,  
ანუ გაყიდული სიცილი

James Krüss  
TIMM THALER  
oder Das verkaufte Lachen

გერმანულიდან თარგმნა შოთა ქავთარაძემ  
ტექსტი შეადარა და შეავსო ორიგინალის მიხედვით ნათია ლელეყვამ

პროექტის ხელმძღვანელი: ნინო ზაზარაშვილი  
რედაქტორი: ლალი ბაქრაძე  
ილუსტრატორი: სოფიო კიკნაველიძე  
სერიის დიზაინერი: დავით ჯანიაშვილი  
დამკაბადონებელი: ნინო გურული

First published in German under the title “Timm Thaler oder Das verkaufte Lachen” by James Krüss

© Verlag Friedrich Oetinger, Hamburg 1962

Published by agreement with Verlag Friedrich Oetinger, Hamburg, Germany.

All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2025  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-920-0

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

ჭეიმს კრუსი

ტიმ ტალერი,  
ანუ გაყიდული სიცილი





გიუნტერ შტრობახს, რომელსაც ამ ამბავს კუმადლი



## სარჩევი

### ნინასიზვაობა

9

პირველი დღე, რომელშიც მოთხოვობილია, თუ როგორ იზრდება პატა-  
რა ტიმ ტალერი, როგორ ენვევა მას დიდი უბედურება, როგორ შეიცვლება  
მისი ცხოვრება და როგორ მოაწერს ხელს უწნაურ ხელშეკრულებას  
კუბოკრულეოსტიუმიან, მეტად საეჭვო მამაკაცთან.

17

ფურცელი პირველი: პატარა ლარიბი ბიჭი

19

ფურცელი მეორე: კუბოკრულეოსტიუმიანი ბატონი

26

ფურცელი მესამე: მოგება და წაგება

33

ფურცელი მეოთხე: გაყიდული სიცილი

39

ფურცელი მეხუთე: დაკითხვა

49

მეორე დღე, რომელშიც მოთხოვობილია, თუ როგორ მოიგებს ლარიბი  
ტიმ ტალერი დოლზე დიდ ფულს, შემდეგ კი ჯიბეგაფხეკილი გარბის სახ-  
ლიდან, რათა ზღვაოსნობას მიპყოს ხელი, როგორ გადაეყრება პამპურ-  
გიდან მომავალ ხელგაშლილ ბატონს და როგორ შეიტყობს თოჯინების  
თეატრში, რომ სიცილი სწორედ ის არის, რაც ადამიანს ცხოველებისგან  
განასხვავებს.

57

ფურცელი მეექვე: პატარა მილიონერი

59

ფურცელი მეშვიდე: ლატაკი მდიდარი

66

ფურცელი მერვე: უკანასკნელი კვირადლე

73

ფურცელი მეცხრე: ბატონი რიკერტი

81

ფურცელი მეათე: თოჯინების თეატრი

88

მესამე დღე, რომელშიც მოთხოვობილია, თუ როგორ გავა პირველად ტიმ  
ტალერი ზღვაში, როგორ შეხვდება გემზე ნაცნობს, შემთხვევით როგორ  
მოკრაგს ყურს მისი და ბარინის საუბარს, როგორ გაიტებს თავს, როგორ  
დადებს ნარმოუდგენელ სანაძლეოს გემის მესაჭესთან და როგორ შეიც-  
ვლება კიდევ ერთხელ მთელი მისი ცხოვრება მას შემდეგ, რაც ამ სანაჭ-  
ლეოს მოიგებს.

99

ფურცელი მეთერთმეტე: ბოროტი ბარონი

101

ფურცელი მეთორმეტე: კრეშიმირი

109

ფურცელი მეცამეტე: ქარიშხალი

116

ფურცელი მეთოთხმეტე: ნარმოუდგენელი სანაძლეო

121

ფურცელი მეთხუთმეტე: არეულობა გენუაში

128

მეოთხე დღე, რომელშიც მოთხოვობილია, თუ როგორ უწევს ტიმ ტა-  
ლერს მემკვიდრის როლის შესრულება, როგორ დაამსხვრევს ჭაღს, რო-  
გორ გაუსხლტება ხელიდან ორ მცველს, როგორ შეხვდება ძველ მეგო-  
ბარს, როგორ ისნავლის ერთ ინგლისურ ფრაზას, რომელიც ზუსტად შეე-  
ფერება მის მდგომარეობას და როგორ გაემგზავრება ბარონთან ერთად  
ათენში.

135

ფურცელი მეთექვსმეტე: დამსხვრეული ჭალი	137
ფურცელი მეჩვიდმეტე: მდიდარი მემკვიდრე	145
ფურცელი მეთვრამეტე: პალაცო კანდიდა	153
ფურცელი მეცხრამეტე: ჯონი	159
ფურცელი მეოცე: ნათელი დღე ათენში	170
<b>მახუთა დღე.</b> რომელშიც მოთხრობილია, როგორ მიაცილებს ტიმ ტალე- რი ბარონს მის სასახლემდე მესოპოტამიაში, როგორ გაებმება უცნაურ საქმეებში, როგორ გამოიგონებს სრულიად შემთხვევით რაღაცას, რაც ბარონისთვის ხელსაყრელი აღმოჩნდება, როგორ დაავიწყდება თავისი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღე, როგორ შენიშნავს საღამოს, რომ თურმე გაღიმება შეუძლია და როგორ დარწმუნდება, რომ სიცილი მარგარინივით გასაყიდი საქონელი არ არის.	179
ფურცელი ოცდამერთე: ციხე-დარბაზი მესოპოტამიაში	181
ფურცელე ოცდამეორე: სენიორ ვან დერ ტოლენი	188
ფურცელი ოცდამესამე: სხდომა	194
ფურცელი ოცდამეოთხე: დავიწყებული დაბადების დღე	200
ფურცელი ოცდამეხუთე: წითელ პავილიონში	207
ფურცელი ოცდამეექვსე: მარგარინი	217
<b>მაევსე დღე.</b> რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ მოგზაურობს ტიმ ტალერი მსოფლიოს გარშემო და ნელ-ნელა ერვევა მდიდრულ ცხოვრე- ბას, როგორ მოჰკრავს თვალს ჰამბურგის ნავსადგურში ორ ადამიანს, რომლებზეც საერთოდ აღარ ფიქრობდა, როგორ ყიდულობს გემებს და თოჯინების თეატრს და როგორ ამყარებს მთელ თავის იმედს ქალალდის ერთ პანანინა ნაგლეჯზე.	229
ფურცელი ოცდამეშვიდე: ფრენის ერთი წელი	231
ფურცელი ოცდამერვე: უპატივცემული დახვედრა	239
ფურცელი ოცდამეცხრე: დავიწყებული სახეები	249
ფურცელი ოცდამეათე: ქალალდები	259
<b>მაშვილე დღე.</b> რომელშიც მოთხრობილია, როგორ ხსნის ტიმ ტალერი საიდუმლო წერილს, როგორ გადახდება თავს ბარონს დიდი უცნაურო- ბა, როგორ იქცევა ტიმი საბოლოოდ მეზღვაურად და როგორ ესტუმრება ბოლოს ქალბატონ ვებერს საცხობში ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც ტუჩის კუთხეები ღიმილი ეპარება.	268
ფურცელი ოცდამეთერთმეტე: საიდუმლო ბარათი	271
ფურცელი ოცდამეთორმეტე: უკანა კარები და უკანა ეზოები	282
ფურცელი ოცდამეცამეტე: დაბრუნებული სიცილი	297
ბოლოსიტყვაობა	309

## ნინასიზყვაობა

ეს ამბავი მაგდებურგიდან ლაიფციგისკენ მიმავალ ნელ, ბინძურ, ხალხით გადაჭედილ მატარებელში მოხდა, როგორებიც მაშინ, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, მთელ გერმანიაში დაგრუხუნებდნენ და კუპრივით შავ, ჭუჭყიან ორთქლს უშვებდნენ. მაშინ ჰამბურგთან ახლოს ვცხოვრობდი და ლაიფციგის ერთ-ერთ სტამბაში მივდიოდი. მატარებელი იმდენად გადავსებული იყო, რომ ხალხი ვაგონის გარეთ, ტამბურში იჭეჭყებოდა. თუმცა, ჩემდაუნებურად, აღმოვჩნდი კუპეში, სადაც ჩემ გარდა, მხოლოდ ერთი ბატონი იჯდა, რომელიც იმ დროისთვის უჩვეულო მზის სათვალეს ატარებდა. თავიდან ვიფიქრე, სხვა კუპეში ხომ არ მოვხვდი-მეთქი და უკან გაბრუნებას ვაპირებდი, თუმცა სათვალიანმა ბატონმა დაუინებით მთხოვა, მის გასწვრივ, ფანჯრის მხარეს დავმჯდარიყავი.

ამ შავ კოსტუმში გამოწყობილი, ჩამრგვალებული ბატონის ასაკის გამოცნობა გამიჭირდა. მისი გულის ჯიბიდან თოვლივით ქათქათა ცხვირსახოცი მოჩანდა, ხოლო როგორც კი მივუახლოვდი, ცხვირში მიხავის სუსტმა სურნელმა შემიღიტინა. მის თავს ზემოთ ბარგისთვის გამოყოფილი სათავსო შავ ჩემოდანს დაეკავებინა.

– ეს გადაჭედილი მატარებლები საშინელებაა, – მითხრა მან, როგორც კი დავჯექი.

– პირად საქმეზე მიდიხართ? – მკითხა ისეთი აქცენტით, რომელიც ჯერ არასდროს გამეგო, მოგვიანებით კი მივხვდი, თურმე იტალიური აქცენტი ყოფილა.

მე ვუპასუხე, რომ უფრო საქმიანი მიზეზით ვმოგზაურობდი.

ლაიფციგში წიგნის დასარედაქტირებლად უნდა წავიდე-მეთქი, ვუთხარი.

– აჰა, – თქვა მან, – წიგნებს წერთ. საინტერესოა. ახლახანს გავიგე, თურმე არსებობენ ადამიანები, რომლებიც ფულს იმით შოულობენ, რომ აღარ წერენ იმ წიგნებს, რომელთა დაწერასაც აპირებდნენ.

– და ვინ არიან ასეთი ადამიანები? – ვკითხე.

– ბრძენი, მცოდნენი, ვინც სამყაროსა და ადამიანთა სულს ჩასწვდა, – თქვა მან. – ისინი თავიანთ სიჩუმეს ფულში უცვლიან იმ ტირანებს, რომელთაც არ სურთ, რომ სიბრძნე მათი ხალხის-თვის ხელმისაწვდომი გახდეს.

– მაგრამ ის, ვინც იყიდება, ბრძენი ხომ ვერ იქნება? – ვკითხე მე.

– ამას სხვადასხვა მხრიდან შეიძლება შეხედო, – მიპასუხა კაცმა. – სადილამდე მიირთმევთ რამეს?

– არა, – ვუთხარი მე, – მაგრამ პური თან მაქვს.

კაცმა ხელი აიქნია. – ეგ პური თქვენთვის დაიტოვეთ, – მითხრა. – მინდა სადილზე დაგპატიუოთ, ხომ შეიძლება?

ამგვარი ქცევა იმდროინდელი გერმანიისთვის მეტად უჩვეულო იყო – თითქმის ცარიელი ვაგონი, მზის სათვალე, დახვეწილი კოსტიუმი და ახლა კიდევ ამ ჭუჭყიან, გადაჭედილ მატარებელში ასეთი ოფიციალური მიწვევა სადილზე, რომელსაც, რა თქმა უნ-

და, დავთანხმდი, თუნდაც მარტო იმიტომაც, რომ მაინტერესებდა, როგორ მოგვართმევდნენ სადილს ამდენი ხალხის რუზრუზში.

და მართლაც მოგვიტანეს სადილი, თუმცა კვლავ უჩვეულო გზით. უეცრად ჩვენ გვერდით გაჩნდა მოწითალო-მოყვითალო, სავარაუდოდ, დიზელის ძრავით რელსებზე მოძრავი ვაგონის მსგავსი, იმ დროისთვის უცხო და საკმაოდ ელეგანტური ტრანსპორტი. ეს მანქანა იმავე სისწრაფით მოძრაობდა, რა სისწრაფითაც ჩვენი მატარებელი მიქროდა.

ფანჯარა, საიდანაც სასადილო ვაგონი მოჩანდა, ჩვენს ფანჯარას გაუსწორდა. ჩემმა მასპინძელმა ფანჯარა გააღო. რელსებზე მოძრავი მანქანის ფანჯარაც მაშინვე გაიღო და დიდი ლანგარი გადმოგვაწოდეს. ოვალური, ისედაც მძიმე ვერცხლის ლანგარი, ვერცხლისავე თავსახურით, სიჩქარის გამო კიდევ უფრო დამძიმებულიყო. ლანგარი ერთად გადმოვიდეთ, უდიდესი სიფრთხილითა და რუდუნებით, მშვიდობიანად დავდგით მაგიდაზე.

როგორც კი ლანგარი შემოგვაწოდეს, ფანჯრები კვლავ დაიხურა. ახლა, როცა კაცმა ლანგრის თავსახური გაზეთის გვერდზე გადადო, ჩემ წინ აღმოჩნდა სადილი, რომლის მსგავსი არათუ არ გამესინჯა, არც არასდროს მენახა.

თავიდან გახუხული, კარაქედასმული პური მივირთვით, შებოლილ ორაგულთან ერთად. შემდეგ ნახევარი კობორჩხალა მაიონეზით. ამის შემდეგ – იხვი ფორთოხლის არომატით, ოხრახუშით შეკმაზულ კარტოფილთან ერთად, და ბოლოს, ნახევრად გაყინული დესერტი ნიგვზითა და გახეხილი შოკოლადით. თან თეთრ, მშრალ დალმაციურ ლვინოს ვაყოლებდით. სადილის დასასრულს ვერცხლის პატარა ყავადანში მოდუღებული მოკა მოგვართვეს, რომელიც მინიატურული ფაიფურის ფინჯნებიდან მივირთვით.

სადილის დროს თითქმის არ გვისაუბრია. მე უხმოდ და მორი-  
დებით შევექცეოდი სადილს და ბედნიერი ვიყავი იმით, რომ დერე-  
ფანში გამავალ ფანჯრებზე ფარდები ჩამოეფარებინათ, მიხაროდა,  
რომ ვერავინ შეძლებდა, გარედან ეყურებინა ჩვენი დიდებული ნა-  
დიმისთვის. ვის ჰქონდა იმდროინდელ გერმანიაში ასე მდიდრუ-  
ლად სადილობის ფუფუნება?

სადილის შემდეგ საშინელი დალლილობა მომეძალა. ეს რომ  
შეამჩნია, კაცმა მითხრა:

– შეისვენეთ ცოტა ხნით. სადილის შემდეგ ან უნდა დაისვენო,  
ან ათასი ნაბიჯი გადადგა. აქ ათასი ნაბიჯის გადადგმა გაგიჭირ-  
დებათ, ამიტომ დასვენებას გირჩევთ.

ძლივს ამოვილულლულებულებული სამადლობელი სიტყვა ასეთი უჩვეუ-  
ლო და მდიდრული სადილისთვის, რომ ქუთუთოები დამიმდიმდა  
და ჩამეძინა.

დამესიზმრა, რომ ზღვისპირას გაშენებული თეთრი ვილის ტე-  
რასაზე ვიჯექი. ჩემ წინ კამკამა ლურჯი წყლის ზედაპირზე ლივ-  
ლივებდა იახტა, რომელიც, ვიცოდი, რომ მე მეკუთვნოდა. შორი-  
დან ხმა ჩამესმა:

– სახლი ზღვის პირას, მდიდრული იახტა და საბანკო ანგარი-  
ში, რომელიც არასდროს იცლება – შეიძლება ეს ყველაფერი გქონ-  
დეს, თუ დუმილს ისნავლი.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, სიზმარში გაგონილი ამ სიტყვე-  
ბის გააზრება ვერ მოვასწარი, რადგან უეცრად რაღაც ხმაურმა გა-  
მომაღვიძა. მატარებლის ხმა იყო. ის მოწითალო-მოყვითალო, რელ-  
სებზე მოძრავი მანქანა ისევ ჩვენი ვაგონის გასწვრივ აღმოჩნდა.

ახლად გაღვიძებულმა მანქანას გავხედე და დავინახე, როგორ  
გაუჩინარდა ჩვენი ცარიელი ლანგარი ჩვენ გვერდით მოძრავ სასა-

დილო ვაგონში. უეცრად, ჩემდა გასაკვირად, ცარიელ ლანგართან ერთად, სასადილო ვაგონში ჩემს თანამგზავრ მამაკაცსაც მოვკარი თვალი. თუმცა მერე გავიფიქრე, ჩვენ ხომ ერთ ვაგონში ვსხედვართ, ალბათ, ძილბურანიდან ახალგამოსულმა სინამდვილეში ჩვენ-სავე ფანჯარაში არეკლილი მისი ლანდი ვერ გავარჩიე-მეთქი. მაგრამ როცა თავი მოვატრიალე, შევკრთი – უცხო ბატონი გამქრალიყო! აღარც მისი შავი ჩემოდანი ჩანდა.

„ის ხომ სულ ახლახანს აირეკლა ფანჯარაში, არეკვლა კი ხომ მხოლოდ იმას შეუძლია, რაც არსებობს“, – აღმომხდა გაოცებისან. – „ძალიან უცნაურია“.

მერე ისევ ჩამეძინა და მხოლოდ მაშინ გამომელვიძა, როცა ხალხი ჩემს კუპეში შემოჭრას ცდილობდა.

იმ დროს მეგონა, რომ ყველაფერი დამესიზმრა, მაგრამ როცა ლაიფციგში ერთი მეტად უცნაური ამბავი მოვისმინე, მაშინ მივხვდი, თურმე ვინ ყოფილა ჩემი მასპინძელი მატარებელში.

ამ უცნაურ ამბავს ახლა მოგიყვებით.

ლაიფციგის სტამბაში მოულოდნელად შევხვდი მამაკაცს, რომელსაც ადრეც ვიცნობდი. ის იყო ტიმი, ჩემი ძველი ნაცნობი. ერთმანეთს ჰელგოლანდიდან, იმ კუნძულიდან ვიცნობდით, სადაც მთელი ჩემი ბავშვობა მაქვს გატარებული. ჰელგოლანდი, ჩემი მშობლიური ადგილი, ჩრდილოეთის ზღვის პირასაა. სწორედ იქ, ჩვენი მეზობლის, დეიდა იულის სახლში გავიცანი. ერთად ორი კვირა გავატარეთ და დავმეგობრდით კიდევაც. ერთხელაც, წლების შემდეგ, სტამბაში შევხვდით და ერთმანეთი მაშინვე ვიცანით.

– ეს შენ ხარ, ტიმ? – გაოცებით ვკითხე.

მანაც, არანაკლებ გაოცებით, მკითხა: – შენ, ბოი?

(ის ისევ ისე მომმართავდა, როგორც ჰელგოლანდის კუნძულ-ზე ბავშვობაში მეძახდნენ).

შემდეგ ერთმანეთს კითხვას კითხვაზე ვაყრიდით, სიტყვას ვაწყვეტინებდით, რომ ორივეს მოგვესწრო ჩვენ-ჩვენი თავგადა-სავლის მოყოლა. ჩემს მეგობარ ტიმს მოვუყევი ჩვენი პატარა კუნ-ძულის დატოვების ამბავი, რადგან, როგორც მანაც ალბათ უკ-ვე იცოდა, დაბომბვებს კუძულის ვერც ერთი სახლი გადაურჩა. შემდეგ ტიმმაც მომიყვა, როგორ იმოგზაურა თავისი თოჯინების თეატრით იაპონიასა და ავსტრალიაში. ტიმმა ისიც მითხრა, თო-ჯინების თეატრზე წიგნიც რომ დაეწერა და ლაიფციგის სტამბა-შიც სწორედ იმიტომ აღმოჩნდა, ამ წიგნის ბეჭდვის პროცესისთვის თვალი რომ მიედევნებინა.

– შენ, – მკითხა მან, – შენ აქ რას აკეთებ?

– მე მუსიკის სახელმძღვანელოს ბეჭდვას ვადევნებ თვალყურს – ვუპასუხე. – სურათები, ნოტები, ლექსები და მოთხრობები ზუს-ტად უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს, ამიტომაც ვარ აქ.

– მაშ, კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს. – მითხრა ტიმმა, და რო-გორც კი ეს თქვა, მისი ჩანთიდან წიგნი გადმოვარდა. დავინახე, დავიხარე და ავიღე. მაშინვე შევამჩნიე, რომ ეს იყო „პეტერ შლე-მილი“ – ადალბერტ ფონ შამისოს მოთხრობა გაყიდული ჩრდილის შესახებ. წიგნი რომ მივაწოდე, ვუთხარი:

– სწორედ ასეთ ამბავს ვეძებ. თოჯინების თეატრში უკვე დად-გი ამაზე სპექტაკლი, თუ არ ვცდები. მაგრამ მე ნამდვილ ბიჭს ვე-ძებ, ვისაც ეს მართლა დაემართა. ოველგონები მითხრეს, რომ ის ჯერ კიდევ ცოცხალია.

– როგორ მოხვდი ჰამბურგ-ოველგონები? – გაოცებით მკითხა ტიმმა. – მე კარგად ვიცნობ ოველგონეს.

– მხოლოდ ცოტა ხნით ვიყავი, – ვუპასუხე. – ომის შემდეგ დროებით ვცხოვრობდით ელბის მეორე მხარეს, ფინკენვერდერში, ბებიაჩემის დის სახლში. იქიდან ელბაზე გადავდიოდით ხოლმე.

– აჲა, – თქვა ტიმმა, – და ოველგონეში, დარწმუნებული ვარ, გეტყოდნენ, რომ გაყიდული სიცილის ამბავი ნამდვილად გადახდა ერთ ბიჭს. მართლაც, ალბათ, ეს ამბავი იგულისხმე, არა?

– დიახ, – ვუპასუხე. – იცი ეს ამბავი?

– ვიცი, – მიპასუხა ტიმმა. – მაგრამ ეს გრძელი ისტორიაა. რამდენ ხანს დარჩები ლაიფციგში?

– სულ ცოტა, ერთი კვირა, – ვუთხარი. – ეს დრო საკმარისი იქნება ამბის მოსათხრობად?

– ჰო, – თქვა ტიმმა. – სრულიად საკმარისი იქნება.

– მაშ, მომიყევი შენი ისტორია.

ტიმმა ჩაიცინა და მიპასუხა:

– არ ვიცი, ბოი, მართალია, თეატრში ხშირად მითამაშია, მაგრამ არის კი ეს ჩემი ისტორია? შეიძლება ეს ამბავი ისევე იყოს ჩემი, როგორც ბევრი სხვა ბიჭის. მოდი, თუ წინააღმდეგი არ იქნები, ბიჭს, რომელსაც ეს ამბავი გადახდა, ჩემს სახელს დავარქემევ. – დაარქვი, რაც გინდა, – ვუპასუხე. – მეტიც, გინდა პირველ პირში იყოს თხრობა და გინდა – მესამეში. როგორც გენებოს. მთავარია, ამბავს მოყვე.

– კარგი, – ამოიოხრა ჩემმა მეგობარმა ტიმმა. – ოდესმე ხომ სრულად უნდა მოვყვე ამ ამბავს, ასე რომ, რატომაც არა? რატომ აქ და ახლა არა? მოდი, როცა სამუშაოს დავასრულებთ, ყოფილი რედაქტორის ოთახში შევხვდეთ, შენ ხომ იცი ეს ოთახი.

– ვიცი, – ვუპასუხე. – შევხვდეთ, როცა სტამბაში სამუშაოები დასრულდება.

ერთი უხეირო რედაქტორის ძველ ოთახში ტიმი შვიდი დღის განმავლობაში მიყვებოდა გაყიდული სიცილის ამბავს. ყოველი სე-სიის შემდეგ სწრაფად მივდიოდი ჩემს სასტუმროში და ყველა-ფერს, რაც მოვისმინე, ნაბეჭდი ფურცლების უკანა გვერდებზე ვიწერდი. ამიტომაც ისტორიას ფურცლებად დავყოფ, რომლებიც სინამდვილეში, უბრალოდ, თავებია.

და, აი, იწყება ეს ისტორია – დასრულებული და დახვეწილი.

## პირველი დღე,

რომელშიც მოთხოვბილია, თუ როგორ იზრდება პატარა ტიმ ტალერი, როგორ ენვევა მას დიდი უბედურება, როგორ შეიცვლება მისი ცხოვრება და როგორ მოაწერს ხელს მეტად უცნაურ ხელშეკრულებას კუბოკრულ ტანსაცმელში გამოწყობილ მეტად საეჭვო მამაკაცთან.

სტამბაში პირველი სამუშაო დღის ბოლოს მე და ტიმი ერთმანეთს ძველი რედაქტორის მიტოვებულ ოთახში შევხვდით, ძველ და დამტვერილ სავარდლებში გემრიელად მოვკალათდით და ტიმიც გაყიდული სიცილის ამბის მოყოლას შეუდგა...



## ფურცელი პირველი

### პატირა ღარიბი პიზი

დიდ და ფართოქუჩებიან ქალაქებში დღესაც ნახავთ ისეთ ვიწრო ჩიხებს, რომ შეგიძლიათ თქვენი ფანჯრიდან თავი გადაყოთ და მოპირდაპირე სახლის ფანჯარაში მეზობელს ხელი ჩამოართვათ. ფულით ჯიბედატენილი უცხოელი ტურისტები ასეთ ჩიხებში მოხვედრისას ალფროვანებას გამოხატავენ. „რა მშვენიერება!“ – იძახიან კაცები, „რა იდილიაა, რა რომანტიკა!“ – ოხვრით ბანს აძლევენ მანდილოსნები. როცა ბევრი ფული გაქვს, გულის აჩუყებას რა უნდა.

სინამდვილეში იდილიაც და რომანტიკაც მოჩვენებითია, რადგან ამგვარ ჩიხებში უმთავრესად ისეთი ხალხი ცხოვრობს, რომელთაც ცოტა ფული აქვთ. მათ ცხოვრებას კი, ვისაც დიდ ქალაქში ცოტა ფული აქვს, იდილიამდე ბევრი უკლია.

სამი წლის იყო ტიმი, ასეთ ჩიხში რომ დასახლდა. მისი ლამაზი და მხიარული დედა უკვე აღარ იყო ამქვეყნად, ხოლო მამა იძულებული გახდა, დამხმარე მუშად მოწყობილიყო მშენებლობაზე. მაშინ ასე ადვილი როდი იყო სამუშაოს შოვნა! და აი, მამა-შვილი დიდი და ნათელი ბინიდან, რომლის ფანჯრებიც პირდაპირ ქა-

ლაქის პარკს გადაჰყურებდა, რიყის ქვებით მოკირნყლულ ვიწრო ჩიხში გადმოსახლდა. აქ წინაკის, ანისულისა და კვლიავის სუნი იდგა მუდამ, რადგან სწორედ ამ ჩიხში მუშაობდა მთელ ქალაქში ერთადერთი წისქვილი, სადაც სანელებლებს ფქვავდნენ. მალე დედინაცვალიც გამოუჩნდა ტიმს, ერთი გამხდარი და ანჩხლი დედაკაცი. დედინაცვალს მისი შვილი მოჰყვა – თავხედი და მეტიჩარა ბიჭი, რომელსაც ისეთი ფერმკრთალი სახე ჰქონდა, თითქოს ცარცი წაუსვამთო.

სამი წლის იყო ტიმი, მაგრამ უკვე ძალიან ყოჩალი და საგსებით დამოუკიდებელი ყმაწვილი გახლდათ. მას შეეძლო, სხვის დაუხმარებლად ემართა ოთხი ტაბურეტისგან შემდგარი საოკეანო ხომალდი და დივნის მუთაქებით აწყობილი ავტომანქანა. როცა ტიმის დედა ცოცხალი იყო, უყურებდა ხოლმე ბავშვის თამაშს და მეტი სიცილისგან ცრემლები ჩამოსდიოდა სახეზე. ტიმი ბალიშებისა და ტაბურეტების საშუალებით ხმელეთსა და წყალზე მოგზაურობდა და თან მხიარულად გაჰყვიროდა: „ტუ-ტუ-ტუ! სდექ! ა-მე-რი-კა!“ ბიჭს ვერაფრით აეხსნა, რატომ იღებდა ზუსტად ამგვარივე მოგზაურობისთვის დედინაცვლისგან მხოლოდ მუშტებსა და ჩქმეტას.

ტიმს არც თავისი დედინაცვლის შვილის ესმოდა მაინცადა-მაინც. ერვინი რაღაც უცნაური გზით გამოხატავდა თავის ძმურ სიყვარულს: ან შეშის ნაფოტებს ესროდა, ან მურით, მელნით ან ქლიავის ჯემით თხუპნიდა. კიდევ უფრო საოცარი ის იყო, რომ ასეთი საქციელისთვის ყოველთვის ტიმი ისჯებოდა და არა ერვინი. სწორედ ამ გაუგებრობის ბრალი იყო, ალბათ, რომ ტიმი ახალ სახლში სრულიად გადაეჩვია სიცილს. თუ მამამისი შინ იყო, კიდევ შეიძლებოდა გაგეგონათ ბავშვის წერიალა, მხიარული და გადამ-დები სიცილი.